



უნისონი
სადაზღვევო კომპანია

საინფორმაციო ფურცელი

INFORMATION SHEET

დეკონირებული
ხელშეკრულების #:

N220966448

საინფორმაციო ფურცელი Information Sheet

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

საინფორმაციო ფურცლის გაცნობა და მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და, შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

This Information Sheet is an inaccurate information on insurance terms and conditions and is not a document having legal force equal to the Insurance Agreement. Familiarization with the information sheet and making explanations related thereto shall not produce legal consequences and, therefore, claims between the parties.

მფლვეველის დასახელება NAME OF THE INSURER

სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
JSC Insurance Company Unison

დაზღვევის ხელშეკრულების სახე TYPE OF INSURANCE

ავტოტრანსპორტის დაზღვევა
Motor Transport Insurance (Casco)

სადაზღვევო პროდუქტის დასახელება THE NAME OF INSURANCE PRODUCT

სრული კასკო ნახევარ ფასად 50/50
Full casco for half premium 50/50

დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები

- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, სხვადასხვა საგნის დაცემა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ნაწილობრივი ან სრული დაზიანება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი, მოძრაობისას ასხლეტილი კენჭით დაზიანება, ცხოველთან შეჯახება, სტიქიური მოვლენები

პრემიის, გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის განხრის წინაპირობები, ოდენობა და წესი

- ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევეს პირგასამტეხლო გადაუხდეელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა.

- დაზღვევის შეწყვეტისას შეწყვეტამდე გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება და ამავდროულად:
 - ა) თუ არ არის ანაზღაურებული ზიანი და ასევე დამზღვევეს არ აქვს ნასარგებლები არანაირი ფასიანი ბენეფიტი, დამზღვევე ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს შეწყვეტის დღისთვის გამომუშავებულ პრემიას დამატებული გამომუშავებული პრემიის 10% (მაგრამ

INSURED RISKS AND COVERAGE TERMS

- Fire, Explosion, Lightning Strike, Fall of various objects, Partial or complete damage as a result of a car accident, Theft, Robbery, Burglary, Vandalism, Damage due to crushed pebbles while moving, Collision with an animal Natural Disasters

PREREQUISITES, AMOUNT AND MANNER OF PAYMENT OF THE PREMIUM OTHER THAN BY THE CONSUMER FOR ANY OTHER FINANCIAL EXPENSE

- In the case of insurance premium non-payment, according to set and conference terms Insurer is empowered to oblige Policyholder to pay penal sum 0.1% of the non-payment of every overdue day. But this amount must not be more than total amount of insure premium in policy.

- In case of early termination of the insurance the damage is not reimbursed and if the relevant insurance policy provides additional paid benefits and insured benefited one or more of it, The Insured is obliged to pay the Insurer 10% of the total insurance premium added to the generated premium (but not more than the full insurance premium provided by the insurance policy);

არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

ბ) თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში ზიანი ანაზღაურებული არ არის, მაგრამ დამზღვევეს ნასარგებლები აქვს, დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული დამატებითი ერთი ან რამდენიმე ფასიანი ბენეფიტებით, ასეთ შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს გამომუშავებულ პრემიას დამატებული მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10% (მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სრული სადაზღვევო პრემიისა).

- დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია მზღვეველის პროვაიდერ სერვის ცენტრში დაზიანებული ავტომანქანის შეფასებიდან და ინვოისის შედგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ავტომანქანის პროვაიდერი სერვის ცენტრიდან გადაყვანა, აღნიშნული ვადის გასვლის და/ან დაზიანებული ავტომანქანის პროვაიდერი სერვის ცენტრიდან გაყვანის შემდეგ მზღვეველი და პროვაიდერი სერვის ცენტრი იხსნის პასუხისმგებლობას ავტომანქანის ნებისმიერ დამატებით დაზიანებაზე და უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევეს/ უფლებამოსილ მძღოლს პროვაიდერის სერვის ცენტრში პარკირების გადასახადი ყოველდღიურად 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

დამზღვევეს/დაზღვეულს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარენის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;
- ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;
- გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;
- დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;
- ე) თუ დამზღვევემა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამზღვევეს/დაზღვეულმა მზღვეველს უნდა მიმართოს ელექტრონულ ფოსტაზე unison@unison.ge, მატერიალურად წარმოადგინოს განცხადების ფორმით მზღვეველის მისამართზე (ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქუჩა 19/ ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. 31) ან ელექტრონულად შეავსოს მზღვეველის ოფიციალურ

- if the paid benefit is used before termination, the insured is obliged to pay to the insurer 10% of the total insurance premium added to the generated premium (but not more than the full insurance premium provided by the insurance policy);

- Insured/authorized driver is obliged to take out the car from the service center with his own expense within 3 working days after the calculating the car's damage and forming the invoice, otherwise the insurer and the provider service center is out of responsibility about car's additional damages and the insurer has authority: a) To charge the insurer / authorized driver with parking fee in the amount of 5 (five) GEL daily;

The insured/policyholder has the right, without specifying any reason, paying penalty or additional fee, to refuse the contract in case of concluding insurance contract electronically - remotely or off-trade - within 14 days from its conclusion.

This clause does not apply to:

- a) The services that price does not exceed 30 GEL;
- b) The insurance contracts, the validity period of which is less than the period of the right of refusal;
- c) The insurance contract related to the main contract, when the main contract does not include the right of refusal;
- d) The insurance contract, the price of which is carried out of the changes towards the financial market, which is not the subject to the control of the insurer and may take place during the term of using refusal right;
- e) if insured/policyholder, before the expiration of the right to refuse the contract, taking into account the insurance terms, directly and clearly requested, to receive the service and the insurer has provided information that by receiving the relevant service, the insured/policyholder loses the right of refusal.

In case of refusal of the contract, the policyholder/insured is obliged to notify the insurer by e-mail unison@unison.ge, send the notification materially in the form of an application to the address of the insurer (Tbilisi, D. Gamrekeli str. 19/ Batumi street Demetre Tavdadebuli str. 31) or fill it elec-

საიტზე მითითებული ზემოაღნიშნული განცხადების ფორმა.

tronically on the official website of the insurer, specified in the above application form.

**ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები/
PREREQUISITES, AMOUNT AND TYPE OF DEDUCTIBLE
სადაზღვევო პოლისის შესაბამისად / ACCORDING TO THE INSURANCE POLICY**

დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი

● 21 წლამდე ასაკის მძღოლებისათვის და /ან 1 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე მძღოლის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მხოლოდ 50%-ით (მათ შორის როდესაც დაუდგენელია ზარალის გამომწვევი მიზეზი), ხოლო იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი მძღოლი არაა ბრალეული დამდგარ შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება სრულად. პრემიის ან მისი პირველი შენატანის გადახდამდე შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან /და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმებზე და საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებზე.

იხილეთ სრულყოფილი ჩამონათვალი ხელშეკრულების 1.3; 4.1.17; 4.1.19; 4.1.20; 4.4.7; 4.4.8; 4.4.9; 4.4.10; 4.4.12; 4.4.13; 6.1. და მე-7 პუნქტებში.

● დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვევის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

განსაკუთრებული პირობა: პირველივე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რა დროსაც მზღვეველს წარმოუშვება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება, „დამზღვევი“ ვალდებულია დამატებით გადაიხადოს წინამდებარე პოლისით დადგენილი სრული სადაზღვევო პრემიის ერთმაგი ოდენობა. პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში

INSURANCE EXCLUSIONS, FULL LIST OF CONDITIONS

● Drivers under the age of 21 and/or under at least 1 year of driving experience will be compensated for only 50% of the occurred insured claim (including where the cause of the accident is not identified), And if the authorized driver is not guilty, the loss will be compensated in full. Cases prior to the payment of the premium or its first installment shall not be subject to reimbursement. Insurance coverage shall not apply to the administrative and other penalties imposed on the owner and / or the authorized driver of the insured motor vehicle for the exploitation of the insured motor vehicle and / or any costs related to temporary vehicle seizure by the law enforcement.

Please see the full list of exclusions in clause 1.3; 4.1.17; 4.1.19; 4.1.20; 4.4.7; 4.4.8; 4.4.9; 4.4.10; 4.4.12; 4.4.13; 6.1. and 7 of the Motor Insurance Wording.

● In case of the first violation of the premium payment (if the hole premium or part of it is not paid in due time or in the prescribed amount) by the insured, the insurer is exempt from fulfilling the obligations undertaken by the present Agreement. The insurer is authorized to suspend the contract and do not reimburse insurance accidents after 14 calendar days from the date of violation of the payment schedule, without any notice, until the insurer completes his financial obligations. The insurance contract will be renewed only after the payment of the premium by the insurer. The cases occurred during the debt period will not be considered as an insurance cases, or paid accordingly by the insurer

Special condition: in the event of the occurrence of the 1st insurance event, at the very moment the Insurer becomes liable of loss reimbursement, the Insured/policyholder is obliged to pay additional single payment of an insurance premium established by this policy; in case of non-payment of the premium, the Insurer is entitled to deduct the amount from the compensation of the relevant insurance premium to be paid. The

„მზღვეველი“ უფლებამოსილია გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას დააკლოს გადასახდელი სადაზღვევო პრემიის შესაბამისი თანხა. წინამდებარე პოლისით დადგენილი პრემიის ოდენობის გაზრდა ხდება მხოლოდ ერთხელ პოლისის მოქმედების პერიოდში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება სადაზღვევო შემთხვევა.

სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს დამზღვევეს გააჩნია მზღვეველის წინაშე დებიტორული დავალიანება გადასახდელი სადაზღვევო პრემიის სახით და ასანაზღაურებელი თანხა აღემატება აღნიშნულ დავალიანებას, მზღვეველი უფლებამოსილია ზარალის ანაზღაურების დროს მოახდინოს ურთიერთშემხვედრი ვალდებულებების გაქვითვა და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დებიტორული დავალიანების გამოკლებით;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს დამზღვევეს გააჩნია მზღვეველის წინაშე დებიტორული დავალიანება სადაზღვევო პრემიის სახით და ასანაზღაურებელი თანხა ნაკლებია აღნიშნულ დავალიანებაზე, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ დამზღვევო დებიტორული დავალიანების გადახდის შემდეგ;

სადაზღვევო შეთანხმების დადგომისას მზღვეველისთვის შეთხოვნილია გარდაკვირების, მოთხოვნის წარდგინის, სადაზღვევო შეთანხმების რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები

იხილეთ ხელშეკრულების 4.1.6.; 4.1.7; 4.1.8; 4.1.9.; 4.1.10; 4.1.11; 4.1.12; 4.1.13; 4.1.14; 4.1.15; 4.1.16; 4.1.17, 4.1.21, 4.1.22; 4.1.23; 4 4.1.24; 4.3; 4.4; 5; პუნქტებში.

amount of the premium determined by this policy is increased only once during the policy period and only if an insured event occurs.

While issuing the insurance reimbursement:

- a) If while issuing the insurance indemnity, the insurer has a receivable debt to the insurer in the form of an insurance premium and the insurance reimbursement exceeds debt, the insurer is entitled to deduct the mutual obligations during the compensation of the loss and issue the insurance indemnity minus the receivable debt;
- b) If while issuing the insurance indemnity, the insurer has a receivable debt to the insurer in the form of an insurance premium and the insurance reimbursement is less than debt, the insurance indemnity will be issued by the insurer only after the payment of the receivables

FORMS, TERMS AND DATES REGARDING TO THE NOTIFICATION, TO BE SENT TO THE INSURER, SUBMITTING A CLAIM FORM, OF THE INSURANCE ACCIDENT REGULATION AND ISSUANCE OF INSURANCE REIMBURSEMENT

Please see clauses N4.1.6.; 4.1.7; 4.1.8; 4.1.9.; 4.1.10; 4.1.11; 4.1.12; 4.1.13; 4.1.14; 4.1.15; 4.1.16; 4.1.17, 4.1.21, 4.1.22; 4.1.23, 4.1.24; 4.3; 4.4; 5; articles.